112/3-81/22 2 13012022

112/3-81/22
13-01-2022

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრს

ქალბატონ თეა წულუკიანს

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, მოგმართავთ პარლამენტის წევრის კითხვით.

საჯარო წყაროებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ 2021 წლის დეკემბრის ბოლოს დადიანების სასახლეში გაიმართა საშობაო მეჯლისი. ასევე, საჯაროდ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით ორგანიზატორი იყო საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო.

1. რა თანხა დაიხარჯა 2021 წლის დეკემბრის ბოლოს დადიანების სასახლეში საშობაო მეჯლისის მოწყობისათვის? რა წყაროებიდან მოხდა საჭირო ფინანსების გამოყოფა?

2. რატომ გადაეცა აღნიშნული მეჯლისის ტრანსლირების ექსკლუზიური უფლება ტელეკომპანია „იმედს“? მეჯლისის ჩანაწერის ექსკლუზიური უფლების სანაცვლოდ, გადაიხადა თუ არა ტელეკომპანია „იმედმა“ რაიმე საფასური და რის საფუძველზე შეირჩა სწორედ ეს ტელევიზია? გამოცხადდა თუ არა ტრანსლაციის უფლებისათვის რაიმე სახის საჯარო ინტერესთა გამოხატვა, სადაც სხვა ტელეკომპანიებსაც ექნებოდათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღოთ?

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ანა ნაცვლიშვილი